საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7691
13/12/2022

7691-21-2-202212131631

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N04/445 (სააგენტოში რეგისტრაციის N6911) განცხადება, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი არ შეესაბამება “ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #414 დადგენილების დანართი 2-ის ფორმას;
- სათანადოდ არ არის გათვალისწინებული N6 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხები: 1. „სამშენებლო ბანაკის და სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მათი ფართობის, განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ, shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით“. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის სამშენებლო ბანაკის/მოედნის ფართობის და მასზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია; 2. „გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს შერჩეულ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის საპროექტო უჯრედების განლაგების სქემა, რუკაზე ჩვენებით (შესაბამის Shp ფაილებთან და

GPS კოორდინატებთან ერთად)“. წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ახლავს GPS კოორდინატები;

- ზოგიერთ shp ფაილს არ აქვს მინიჭებული კოორდინატთა სისტემა (პროექცია) და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული GPS კოორდინატები (ცხრილები: N2, N37, N38, N39, N40) წარმოდგენილი უნდა იქნეს UTM ფორმატში;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო